ზარი

სურათებიანი დამატება

დამატების № 18. ხუთშაბათი, 8 ივნისი 1906 წ. **გაზეთის № 52**

მარსელელნი.

(საფრანგეთის რევოლიუციის დროის მოთხრობა)

ფელიქს გრასი.

(შემდეგი*)

გათენებისას სიმღერით: „შეევიარაღდეთ, მოქალაქენო“. გავიარეთ ერთი ქალაქი, რომლის სახელიც აღარ მახსოვს. აქ მეფის ჯარს გზა უნდა გადაეღობნა ჩვენთვის, მაგრამ ქუჩები ცარიელი იყო და კვალიც არსად არ ჩანდა ჯარისა. სამატამ გაშალა თავისი დროშა და, რა კი ვერავინ დაინახა, მივარდა შეშინებულ დარაჯს საყდრისას და დროშაზე ამოხვევინა.

მთელი დღე დაუსვენებლივ მივდიოდით, მხოლოდ ერთხელ შევისვენეთ წყაროსთან რამდენისამე წუთით, რომ წყურვილი მოგვეკლა და დავნაყრებულიყავით. საღამოზე ქალაქი სენსი გავიარეთ, არც იქ შეგვისვენია.

ამრიგათ შვიდი დღე და ღამე ვიარეთ; ზოგს ჩვენგანს ხელ-ფეხი დასისხლიანებული ჰქონდა და დაღალულობისაგან ყველანი ტორტმანობდნენ, მაგრამ არავინ არ იჩჩენდა და მარსელიეზის სიმღერით ვიმხნევებდით თავს. ბოლოს პური და ხიორი გამოგველია და ძალა-უნებურად დავბანაკდით მემონის გალავანთან. ქალაქის მმართველებმა დიდკაცობა გამოიჩინეს—პირველში არ დაგვეხმარნენ, სამი საათი მშივრები დაგვყარეს და შემდეგ თითო კაცზე ორ-ორი პური დაგვირიგეს.

დეპუტატი იოსებ ბარათაშვილი.

მუასონმა დაგვირიგა ეს პური და გვითხრა:

— მეგობრებო, ეს უკანასკნელი საგზაო სურსათია, ორი დღის შემდეგ იგემებთ პარიზის პურს და შემდეგში თქვენ კი არა, თქვენი მტანჯველნი დაიმშეიან.

ასრულდა იმისი სიტყვები.

ტყის ჩრდილოში შევისვენეთ და უცბად შორიდან მოგვესმა უცნაური გუგუნი.

— ეს უთუოდ აქ ახლო-მახლო ფუტკრის გუნდი მიფრინავს,—სთქვა ერთმა ჩვენგანმა. ყველამ მივიხედეთ.

— არა, მიწა იძვრის.—სთქვა მეორემ.

— უბრალო რამ არის, მიწის ძვრა ასე ხანგრძლივი არ იქნება,—შენიშნა მესამემ.

— აბა მიწას ყური დაადეთ,—გვითხრა მეოთხემ,—შორიდან ისეთი ხმა ისმის, თითქო ხალხის ღრიანცელია და ზარბაზნის სროლა.

— არაფერიც არა არის-რა, აქ სადმე ჩანჩქარია, როგორც ოკლიუზში,—სთქვა სამატმა.

— მარსელზე რომ შორს არ ვიყვეთ,—სთქვა მორგანმა,—ზღვის ტალღების ხმაურობა მეგონებოდა.

— არისტოკრატების ჯარი ხომ არ მოდის ჩვენზე გზის გადასაღობად?—შენიშნა პენუმ წარბებ შეკმუხვნილმა.

— ეჰ, ჩემო ძმანო,—გვითხრა ღიმილით მუასონმა:—არაფერიც არ არის, რასაც თქვენ ფიქრობთ—ეს პარიზის ხმაურობაა. ამას შეადგენს ვაჭრების ყვირილი ქუჩებში, ეტლების გრიალი, ხალხის ლაპარაკი, სიცილი, ტირილი, მხიარულება და მწუხარება ათასი ხალხისა. ამ გუგუნში ნათლად ისმის ხმა თავისუფლებისა, ერთობისა და ძმობისა, ხრინწიანი და მძაფრი ხმა სიმძლავრისა. მეგობრებო, ეს გუგუნი ყოველთვის ისმის პარიზის გარშემო ხუთის მილის მანძილზე.

არც კი დაეთავებინა ამისი თქმა, რომ ჩვენ ყველანი უცბად წამოვხტით, თოფებს დავავლეთ ხელი და ერთხმად ვუთხარით:

— მხოლოდ ხუთი მილის მანძილზე-ღა ვართ პარიზზე! გაუმარჯოს რევოლუციას! გაუმარჯოს მარსელს! გაუმარჯოს ტულონს! გაუმარჯოს ავინიონს!

საჩქაროდ მუხის ტოტები დავამტვრიეთ და შევამკეთ თოფები, ქუდები და ზარბაზნები. მერე გავუდექით გზას. სიხარულით მთელი ბატალიონი ცეკვავდა.

ვხტოდით, ერთმანეთს ვკოცნიდით, სიხარულათ ვტიროდით და ჰაერს ვაპობდით ღრიალით: „პარიზი! პარიზი! პარიზამდი მივედით!“

დეპუტატი დედნიცკი.

პირველმა მოითხოვა სახელმწიფო სათათბიროში საქართველოს ავტონომია. (წარსულ ნომერში ამ სურათს ქვეშ შეცდომით ეწერა ივანეზოვი.)

ამ აღტაცებამ გაიარა და მერე წავედით მწყობრად! პატარა ხანს უკან ჩვენმა უფროსმა მიგვითითა ჰორიზონტზე, სადაც ბუნდათ მოსჩანდა კოშკები და საჰრეკლოები და გვითხრა:

— აგერ პარიზი!

ბატალიონი წამსვე შედგა! ყველამ თვალი ჰორიზონტს მიაპყრო. ენა თითქოს სასაზე მიგვეკრა, ძოხუცი და ყმაწვილი უსიტყვოდ, თვალ-ცრემლიანი, გაშტერებით გასცქეროდა პარიზის მხარეს.

უფროსმა გვიბრძანა წასვლა. დაჰკრეს ბუკი და დავიწყეთ დადებული სიმღერა:

წინ გასწეთ მამულისშვილნო,
დღე დაგვდგა დიდებისა!

კი არ მივდიოდით, მივრბოდით, ისე აგვიტაცა სიხარულმა. მოულოდნელად არისტოკრატის ეტლი შეგვეფეთა. მეეტლე ისე შეშინდა ჩვენ დანახვაზე, რომ გაბრუნა ეტლი და ისევ პარიზისკენ გაქანა.

მზის ჩასვლისას რომელიღაც მდინარე გავიარეთ, გაღმა გველოდა რამდენიმე კაცი, ხელს გვიქნევდნენ, და გვიძახდნენ:

— გაუმარჯოთ მარსელელებს! გაუმარჯოს რევოლიუციას!

ჩვენი რაზმის უფროსი, კაპიტანი და მათთან ჩვენც მივ-

*) იხილე დამატება № 17.



საფრანგეთის რევოლიუცია —ხალხის წარმომადგენელთა 1-ლი სხდომა, 1789 წ. 5 მაისს.

ცვივდით ამ უცნობ ხალხს, ისინი გადაგვეხვივნენ და თავი ასე გაგვაცნეს: რებეკკი! ბარბარუ! დანტონ! სანტერ!

იმათ მოსდევდენ დედაკაცები და ბავშვები, რომელნიც გარს გვეხვეოდნენ და ხელებს გვიკოცნიდნენ.

ბოლოს საერთო აღტაცება შეჩერდა და ბარბარუ, სახელგათქმული ბარბარუ, დეპუტატი მარსელისა, მოვიდა ყველასთან სათითაოდ და დაგვკოცნა, მერე გადგა განზე და ხმა მაღლა წარმოსთქვა:

— ხვალ გათენებისას ჩვენ შევალთ პარიზში და პირდაპირ წავალთ მეფის სასახლესთან. სანტერი, საეროვნო გვარდიის უფროსი, დაპირებულია მოვიდეს ჩვენთან ორმოცი ათას კაცით, რომელნიც მზად არიან თქვენსავით შესძახონ: თავისუფლება ან სიკვდილი.

— გაუმარჯოს ბარბარუს! — დავიძახოთ ერთ ხმად.

ზოგმა დაუმატა; „გაუმარჯოს სანტერს!“ უმეტესობას და მეც არ მოგვეწონა ის კაცი. გულ მიუსვლელი სახე ჰქონდა. იმან არც დაგვკოცნა და არც სიხარულის ცრემლი დაღვარა ჩვენთან ერთად. მის სახეზედ ორ-პირობა გამოიხატებოდა და ჩვენს უსაზღვრო აღტაცებაზედ ბოროტად იღიმებოდა.

სადაც პარიზის წარმომადგენელნი დაგვიხვდნენ, ქალაქ გარეთ უბანი იყო, იმ უბნის ხალხი დიდის სიხარულით მოგვეგება. თითო ოჯახმა ორ-ორი და სამ-სამი ჩვენი ჯარის კაცი მიიწვია ღამე დასადგომათ. მე და მორგანი მებაღემ წაგვიყვანა და საუცხოოდ გაგვიმასპინძლდა. ვერ წარმოიდგენთ რა სასიამოვნო იყო ამოდენა ხნის შიმშილის შემდეგ გემრიელი სასმელ-საჭმელი და ტანთ გახდილი ძილი საწოლში. მაგრამ არ დაგვაცადეს რიგიანად დაგვესვენა.

შუაღამის ორ საათზედ ბუკის ხმამ წამოგვახტუნა და მზის ამოსვლისას პარიზს მივახლოვდით. წინ მიგვიძღოდნენ ბარბარუ, დანტონ, რებეკკი და საეროვნო საკრებულოს დეპუტატები, იმათ მივდევდით მთელი ბატალიონი ზარბაზნებით და ბარგით.

ის ფიქრი არ მასვენებდა, რომ ყველანი მე დამცინებდნენ, როგორც პატარა ბიჭს, ჯიბეში ორიოდე მაყვალი ვიპოვნე და იმის წვენით სიფთხილით პატარა ულვაშები გავიკეთე.

გამოჩნდა პირველი სახლები სატახტო ქალაქისა. რა სახლები, მეგობრებო, რა სახლები! — ჩვენი სოფლის საყდარზედ მაღლები... სამატმა გაშალა თავისი დროშა და მთელმა ბატალიონმა დაიწყო სიმღერა:

„წინ გასწით მამულის შვილნო!

ჯგუფი და ჯგუფი ხალხისა გვხვდებოდა და გვეხვეოდა გარს. ხელოსნები, ჯარისკაცნი, დედაკაცები სამფერის ნიშნებით თავზე, პატარა გოგოშიკები ტაშსა სცემდენ და ერთად ყვიროდნენ: „გაუმარჯოსთ მარსელელებს!“

აშკარად ეტყობოდათ, რომ კეთილი პატრიოტები იყვნენ. რაც უფრო მეტი ქუჩები გავიარეთ პარიზისა, მით უფრო მეტი უზარმაზარი და უმშვენიერესი სახლი ვნახეთ და ხალხიც სულ სხვა და სხვა. ყოველ ნაბიჯზე ვხედავდით თმა დაკულულებულ და გამოპრანჭულ არისტოკრატებს, სამატი ყველას ძალით ამთხვევინებდა თავის დროშაზე. დრო და დრო მოაგრიალებდნენ დიდკაცთა ეტლები პარიკებ დახურულ და აბრეშუმის ჩულქებში გამოწყობილ მეეტლებით და ლაქიებით. ვხედავდით აგრეთვე პალანკინებს, რომლებშიაც ისხდნენ პუდრით შეგანგლული, არშიებით და ლენტებით მორთული გაბღენძილი მარკიზები ოქროს ღილებიან ხაკერდის ტანისამოსით. ვაი იმათ, ვისაც, ან არისტოკრატებს და ან იმათ მოსამსახურეს, სამ-ფერი არა ჰქონდა, შევარდებოდნენ და თითონ უკეთებდნენ ნიშნებს. ამ ღრიანცელში 500 მარსელელი ერთად მღეროდა: „წინ გასწით მამულის შვილნო“... ცოტ-ცოტად ხალხიც აგვყვა და დამღერა: „შეიარაღდით მოქალაქენო!“ ასე რომ ახლა მარსელიეზას ხუთასი კაცი კი არა ათი და ოცი ათასი მღეროდა. ყველა სიხარულმა შეიპყრო, სასიამოვნო და მასთან საშიში სანახავიც იყო პატრიოტიზმით აღფრთოვანებული ხალხი. მე ზარბაზანს მივათრევდი და თან ვმღეროდი. ჩვენს უკან მომავალი ხალხის ნაკადული ისეთი უშველებელი და ზავთიანი იყო, თითქო მარტო ხალხი კი არა, სახლებიც, ხეებიც და მთებიც თან მოგვდევენო.

ბოლოს მივედით ბასტილიის მოედანზე. ბასტილიის ნანგრევები სავსე იყო ცნობის მოყვარე ხალხით

თან მარსელიეზას ვმღეროდით, თან გაშტერებული ამ სანახავით აქეთ-იქით ვიყურებოდით. უცბად ჩამოქცეულ კედელზე თვალი მოვკარ ლაზულის კლარეთ ხელში, ხან იცინოდა და ხან ტიროდა სიხარულით და სხვებთან ერთად ყვიროდა:

— გაუმარჯოს მარსელელებს!

მაგრამ ეს რას ვხედავ? სისხლი ამივარდა თავში და თვალები დამიბნელდა. ლაზულის გვერდში ამოჰკროდა მშვენიერი, მაგრამ გადაფითრებული ყმაწვილი ქალი. ეს იყო ადელინა, მარკიზის ქალი, რომელმაც სიკვდილს გადამარჩინა.

ამ დროს ვიღაცამ ფანჯარა დაგვირახუნა და მოისმა პასკალის ძმის ლანჟეს ხმა:

— რას სჩადიხართ? ძილს აღარ აპირებთ? ორი საათია!

მართლაც ორი საათი იყო შუაღამეს გადასული და ვერც კი შევნიშნეთ, როგორ გაიარა დრომ. ყველანი საჩქა-



საფრანგეთის რევოლიუცია.—4 აგვისტოს ღამე: ძველ წეს-წყობილების გაუქმება.

მელიტ ორმოცი ათასი კაცით უნდა მოსულიყო ჩვენთან. სულ ორასი კაცი მოიყვანა და ჩვენს უფროსს არწმუნებდა, რომ თავხედობა იყო ჩვენგან პირდაპირ მეფის სასახლესთან მისვლა. იმის სიტყვით ჯერ მზად არა იყო-რა: ზარბაზნები, რომელიც უნდა წაგვეღო სამსჯავროსგან, სხვის ხელში იყო, მოსამართლე პეტონს კი განკარგულება არ მოეხდინა, რადგან საერო საკრებულოს ჯერ არა დაედგინარა. ამიტომ გადაწყვიტეს, წავსულიყავით ჩვენთვის მომზადებულ ყაზარმებში. სანტერი თავის ორასი კაცით წინ

როდ ავიშალენით და წავედით სახლში. ზოგან მამლის ყივილი ისმოდა.

VI

პარიზში.

პაპა ჩემი მე მგვანდა, არაფრის გულისათვის არ დადგობოდა, რომ არ მოესმინა მოხუც პასკალის ამბავი, ამიტომ, უეჭველია, მთელი ღამე იმ ფიქრში გაატარა, რა მიზეზი გამოეგონა, რომ სკოლაში არ გავეგზავნე, რადგან ორ საათზე დავიძინე. რასაკვირველია, კიდეც მოიფიქრა, რაკი მეორე დღეს ათ საათზედ ისევ შინ იყო, მაშინ როდესაც ჩვეულებად ჰქონდა რიჟრაზედ ვენახში წასვლა სამუშაოდ. დედა ჩემს სთხოვა არ გავეღვიძებინე და, როცა მზემ კარგა მაღლა აიწია, უთხრა:

— ვენახში ჩამონგრეული კედელი უნდა შეეკეთო, პასკალს წავიყვან, ქვის მოზიდვას მიშველის.

— წაიყვანეთ, რაკი სკოლაში არ წავიდა, გააკეთოს რამ მაინც.

წავყევი პაპას სამუშაოდ, მაგრამ კი არა გამიკეთებიარა, მთელი დღე გამხმარ ფოთლის გროვაზე მხის სითბოზე მეძინა. შინ ხალისიანი და მხიარული დავბრუნდი, მაძღრისადვილად ვახშმე, ავანთე სანათი და პაპას მივუტანე. თითქმის სირბილით მივედით მეჩექმის სახელოსნოში და, ის იყო ჩვენ ადგილს დავსხედით, რომ პასკალმა განაგრძო თავისი ამბავი.

— მგონია იმას ვამბობდი, რომ მოულოდნელად დავინახე ლაზულის და პატარა კლარეს გვერდით ადელინა. ეს სანახავი ძალიან ჩქარა მიმეფარა თვალიდან, რადგან ხალხის ბრბოს ჩემდა უნებურად წინ მივყავდი, ვერც კი მოვასწარ კიდევ შემეხედნა და დავრწმუნებულიყავ, მართლა ისინი ვნახეთ თუ არა. მეტი ღონე არა მქონდა მივათრევდი ზარბაზანს და ვმღეროდი: „შეიარაღდით მოქალაქენო!“

სენტ-ანტუანის ქუჩის შესავალში პარიზელი გვარდიელები წინ გადაგვეღობნენ, იმათ მეთაურობდა სანტერი, რომ-

მოგვიძღოდა და ჩვენაც ცხვრებივით თან მივდევდით.

უშველებელი ბრბო ხალხისა, რომელიც გარე გვეხვეოდა და ხმაურობდა, განცვიფრებული შედგა, რაკი შეამჩნია, რომ სასახლისაკენ არ მივდიოდით და არისტოკრატების უბნისაკენ შევუხვიეთ. უცბად განელდა ხალხის აღტაცება, ბრბო გაბრუნდა მეორე მხარეს და ნელ-ნელა მოგვცილდა კბილების კრაჭუნით და მუშტის ღერებით. მაშინ მივხვდით, რომ სანტერმა მოგვატყუა. ხალხის მხრივ ჩვენდამი წყრომა სამართლიანი იყო, ყოველ ნაბიჯზე ოქროს ეტლები და მორთული პალანკინები გვხვდებოდა შიგ გამოპრანჭულის კაცებით და ქალებით. სამატმა და მორგანმა რომ შეამჩნიეს, რა სიძულვილით გვიყურებდნენ ის არისტოკრატები, ველარ მოითმინეს, გზა და გზა აყენებდნენ მოკაზმულ არისტოკრატებს და პუდრითა და უმარილით შეგლესილ ქილებს და ძალათი ამთხვევინებდნენ დროშას და თან ყვიროდნენ: „გაუმარჯოს ეროვნებას! ისინიც კანკალებდნენ და ტუჩების ბრეცით ასრულებდნენ ჩვენს ბრძანებას.

იმ უბნის მცხოვრებნი, მოგებების მაგივრად, სახლებში იმალებოდნენ. კარებების ურდულებით და გასაღებებით კეტვა გარეთ ისმოდა. ჩვენ კი მივდიოდით და ვმღეროდით მარსელიეზას.

ბოლოს დაქანცულებმა, ხმა წასულებმა, მტვერში ამოგანგლულებმა მივაღწიეთ ყაზარმებამდე, სადაც შუა გულ პარიზში. სახელი ამ ყაზარმებისა აღარ მახსოვს, ძნელი ის იყო, რომ საკრებულზე, სასახლებზე და, რაც ჩვენთვის საჭირო იყო, დაშორებული ვიყავით. დაწყეველილი სანტერი! რა რიგად მძულდა ამისთანა სახის ხალხი!

ყაზარმებში სანტერმა კიდევ სიტყვა წარმოსთქვა, მაგრამ ისე გაურკვევლად ლაპარაკობდა და ისე ღეჭავდა სიტყვებს, რომ ნახევარიც არ გაგვიგია. მხოლოდ იმას მივხვდით, რომ ძალიან სურდა აეხსნა, რის მიზეზით არ მიგვიშვა სასახლესთან და, რომ ჩვენი გული მოეგო, შეგვპირდა, საღამოზედ ნადიმს გაგიმართავთ ელისეის მინდვრებშიო. მაგრამ მორგანმა არ დაათავებინა მოქარგული სიტყვები და ხმა მაღლა უთხრა:

— მომიტევეთ, ბატონო პარიზელო, მაპატიეთ, რომ სიტყვას გაწყვეტინებთ, მაგრამ გთხოვთ, მაგ გოგრაში კარგა მაგრა ჩაინერგოთ, რომ ჩვენ პარიზში საქეიფოდ არ მოვსულვართ, ჩვენ სახლშიაც შეგვიძლიან ბრწყინვალე მზის სხივებ ქვეშ საკმაოდ ჭამაც და სმაც. სამასი მილი გამოვიარეთ მტვერსა და ვაი-ვაგლახში მხოლოდ სამშობლოს დასახსნელად და სულაც არა გვსურს ნადიმზე დროს დაკარგვა.

— დამშვიდდით, დამშვიდდით, მორგან!—უთხრა ბარბარუმ,—რაკი შეატყო სხვა კილოზე ლაპარაკი.—შენ მართალი ხარ, მაგრამ, ჯერ დანტონის სიტყვა მოისმინე. ეს ყველაფერს მოაგვარებს და ყველას შეგვარიგებს.

დანტონი მაგიდაზედ ავიდა და დაიწყო ლაპარაკი

ოჰ, მეგობარნო, ნეტამც გაგეგონათ მისი ლაპარაკი! ნახევარ საათს შეუსვენებლად ლაპარაკობდა. როცა გაათავა ბარბარუ მოეხვია და ერთმანეთი გადაჰკოცნეს. მერე შეგვპირდნენ, რომ სამის დღის შემდეგ წაგვიყვანდნენ სასახლის შესაპყრობად.

შემდეგ დაგვირიგეს პური, ღვინო და ლორი. ყველამ ხარბად დაუწყო ჭამა. მე და ვოკლერი-კი ლაზულის მოსაძებნად წავედით.

თოფები და პარკები ყაზარმაში დავტოვეთ, ჩვენ კი მუნდირებში, დამბაჩებით და ხმლებით გამოწყობილები, წავედით პლანშოს სახლისკენ ბასტილიის ახლო. თუმცა ამ დროს სახლების კარებები და სარკმლები ღია იყო, მაგრამ ხალხი ჯგუფ-ჯგუფად სახლებ წინ მოსიარულე უკმაყოფილოდ გვიცქეროდა. ჩვენ ყურადღებას არას ვაქცევდით, გაჩქარებულნი მოვდიოდით და მზად ვიყავით გვესროლა დამბაჩა, თუ ხელს გვახლებდა ვინმე.

ვოკლერისთვის არ მითქვამს, რომ ადელინა ვნახე ლაზულისთან, მე თითონაც ვიეჭვნეულობდი, ხომ არ მომელანდა-მეთქი მისი სახე.

ბევრი სიარულის შემდეგ მივადექით პლანშოს სახლს და კარი დავარახუნეთ. კარი თითონ პლანშომ გაგვიღო, იცი ვოკლერი, ხელი ჩამოართვა, საჩქაროდ გაბრუნდა და გიჟივით დაიწყო ყვირილი:

— ვოკლერი! ვოკლერი! ჩემი მეგობარი ვოკლერი!

იმავე წამს ზევიდან ლაზულის ხმა მოგვესმა:

— ის არის, წავიდეთ ჩქარა, კლარე!

— მამა, მამა!—ყვიროდა პატარაც.

კიბეზედ შევხვდით და ერთმანეთი გადავკოცნეთ.

მერე ლაზულიმ გვითხრა:

— ჩვენ ორნი არა ვართ, ადელინაც ჩვენთან არის. გახსოვს, პასკალ, შენ იმან ბოროტ სურტოს ბრჭყალებიდან დაგიხსნა? ჩვენც კი სიკვდილისაგან დავიხსენით ადელინა. თავის თავს აღარა ჰგავს საწყალი ქალი. მერე გაიმბობთ იმის ამბავს. ბებერ ჟაკარს მოჰყავდა დილიჟენით. ვოკლერ, ხომ ჩვენთან დავტოვებთ ადელინას?— დაუმატა ლაზულიმ და გაგვიღო ოთახის კარი: თუ სამისთვის გვექნება საზრდო, მეოთხეც მაძღარი იქნება.

ამ კეთილ ადამიანის სიტყვების გაგონებაზე ავკანკალდი, ისე შემებრალა საწყალი ოხუთმეტის წლის ქალი, რომლისაგანაც დიდად დავალებული ვიყავი. ერთის წუთის შემდეგ ადელინა ვნახე თვალებ ანთებული და გაყვითლებული სანთელივით. დავეცი მის ფეხებ ქვეშ და დავუკოცნე ხელები. მისი ხილვით ვხედავდი ჩემს სოელს, ჩემს მშობლებს. იმ ხელმა, რომელსაც ვკოცნიდი, როდისღაც თეთრი პურის ნატეხი მომაწოდა, მერე ავინიონში გამომიყვანა სარდაფიდან. მეტად აღელვებული იყო, ხმას ველარ იღებდა, მხოლოდ მეხვეოდა და მკოცნიდა, როგორც ლაზული. იმის კოცნით მეშვიდეცაში ავფრინდი, მაგრამ უცბათ ვიგრძნე, რომ რაღაც მძიმედ დაეშო ჩემს ხელზე. ადელინას გული შეუწუხდა.

ლაზულიმ საჩქაროდ გაიყვანა მეორე ოთახში და მიაწვინა სტოლზე.

— არაფერია,—სთქვა ლაზულიმ,—აქ ნუ შემოხვალთ, მე ამასთან დავრჩები, უბრალო გულის შეფერებაა. იმდენი იტირა და იტანჯა, რომ მეტის-მეტად დასუსტდა.

მე ვოკლერთან დავრჩი სამზარეულოში, ჩქარა პლანშოც მოგვემატა და ძველმა მეგობრებმა გაიბეს ლაპარაკი, აღარც გაათავებდენ, ლაზული რომ არ შემოსულიყო.

— ჩვენ ქალს გული შეუწუხდა,—სთქვა ლაზულიმ,—შემოგვხედა და გვანიშნა, უცხო კაცთან არა წამოგვცდენოდარა ადელინას ვინაობის შესახებ,—დასცხა ძალიან იმ ხალხში, ახლა მამის ნახვამაც მეტად გაახარა, მაგრამ ახლა უკედ არის, ჩქარა სრულებით გაუვლის.

— ჰო, სუსტია,—სთქვა პლანშომ და მიუალერსა კლარეს, თან დაუმატა:—აი, შენ კაცი და გული არ შეგიწუხდება ჩვენ ყოჩაღ პატრიოტების დანახვაზე. ლაზული, ხომ არ ინებებთ, ნარინჯის წყალა მოგართვათ თქვენის ქალისთვის? თქვენ კი ნუ მომებოდიშებით, მე და თქვენი ქმარი ძმები ვართ და რაც კი ჩემს სახლში მოიპოვება, თქვენთვის მზად არის. ასე არ გელაპარაკებოდით, საჭიზღარი არისტოკრატები რომ იყოთ, რომელთაც გერმანელები მოიწვიეს რევოლიუციის ჩასაქრობად. იმათთვის ამ სახლში არა არის-რა. არა, ვცდები, იმათთვის ტყვიები, თოფის წამალი და გალესილი ცულია, მაგრამ მე ვხედავ, რომ თქვენ ძალიან დაღლილები ხართ, დასვენება გინდათ, მე სახელოსნოში წავალ, ბევრი საქმე მაქვს და მირტო კი ვმუშაობ. შვიდი გილიოტინა შემომიკვეთეს,—უთხრა ნელის ხმით ვოკლერს,—ორ კვირაზე იაკობელებს უნდა ჩავაბარო.

პლანშო საჩქაროდ ჩავიდა ფეხების ბრაგა-ბრუგით კიბეზე.

ელენე ანტონოვსკისა

(შემდეგი იქნება)



„შინაურ მტრებისთვის“ დამზადებული შეიარადებული ავტომობილი

რედაქტორ-გამომცემელი გრ. ხ. რცხილაძე.